

## ტენდერის აღწერილობა:

შპს „ვარციხე 2005“ აცხადებს ტენდერს:

- ჰესი 3-ის საგენერატორო შენობაში არსებული მარჯვენა ფლიგელის დაზიანებული შიდა კიბის უჯრედის შეკეთება (ლითონკონსტრუქციების შეცვლა, საფეხურების აღდგენა);
- ჰესი 4-ის საგენერატორო შენობაში არსებული მარცხენა ფლიგელის დაზიანებული შიდა კიბის უჯრედის შეკეთება (ლითონკონსტრუქციების შეცვლა, საფეხურების აღდგენა).

მომსახურების ტექნიკური დეტალები გთხოვთ იხილოთ ტექნიკურ დავალებაში.

**საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:**

- კომპანიის რეკვიზიტები: სრული დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია, საბანკო რეკვიზიტები;
- სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობის ასლი (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან);
- კომპანიის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია (საქმიანობის მოკლე აღწერილობა, გამოცდილება);
- ჩასატარებელი სამუშაოების აღწერა და ფასთა ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა), საქართველოში მოქმედი ყველა გადასახადის გათვალისწინებით, მათ შორის დღგ;
- ანგარიშსწორების პირობები.

**შენიშვნა:** სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს ერთ პაკეტად, რომელშიც სამუშაო მოცულობა და ფასთა ცხრილი წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული ობიექტისთვის ცალ-ცალკე.

საკონკურსო წინადადება არ მიიღება და შესაბამისად არ დაიშვება შეფასებაზე, თუ პრეტენდენტი დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი ყველა ინფორმაციას. შემოთავაზება უნდა აიტვირთოს ელექტრონული შესყიდვების ვებ-გვერდზე: [www.tenders.ge](http://www.tenders.ge)

**სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2023 წლის, 28 მარტი, 18:00 სთ;**

წარმოდგენილ წინადადებაში, გთხოვთ, მიუთითოთ ტენდერის ნომერი და დასახელება: **შპს „ვარციხე 2005“-ის კუთვნილ ჰესი 3-ის და ჰესი 4-ის შიდა კიბის უჯრედების შეკეთება.**

ტენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის მიღება, საჭიროების შემთხვევაში ადგილზე დათვალიერება, ინფორმაციის დაზუსტება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: წყალტუბო, ს. გეგუთი 1, ორშაბათი - პარასკევი 9:00 – 18:00 სთ.

**საკონტაქტო პირები:**

შპს „ვარციხე 2005“-ის დირექტორის მოადგილე საერთო საკითხებში:

**გურამ ფანცხავა** - 577 555 420; [g.pantskhava@vhpp.ge](mailto:g.pantskhava@vhpp.ge)

შპს „ვარციხე 2005“-ის უფროსი ინჟინერი ინვესტიციების საკითხებში:

**გიორგი ზალიკიანი** - 577 555 467 ; [g.zalikian@vhpp.ge](mailto:g.zalikian@vhpp.ge)